

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე # 113

ნოემბერი, 2008

საღიგებულო (Salduz) თურქეთის წინააღმდეგ - 36391/02

გადაწყვეტილება 27.11.2008 [და]

მე-6 მუხლი

მუხლი 6.3.c

დაცვა იურიდიული მომსახურების გზით

პოლიციის წინაშე არასრულწლოვნის, რომელსაც უარი ეთქვა საადვოკატო მომსახურებაზე, აღიარებითი ჩვენების მტკიცებულებად მიღება: *დარღვევა*

ფაქტები: საქმის მიმდინარეობისას თურქული კანონმდებლობა ადგენდა ექვმიტანილის უფლებას დაკავების მომენტიდან ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი კონკრეტული სამართალდარღვევა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების განსჯადი იყო. განმცხადებელი, არასრულწლოვანი, დააკავეს არალეგალური ორგანიზაციის დახმარებისა და მის საქმიანობაში ჩართულობის ეჭვით, რასთან დაკავშირებითაც სამართალწარმოებას აწარმოებს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები. ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მან პოლიციაში მისცა ჩვენება, რომლითაც აღიარა, რომ მონაწილეობდა უკანონო დემონსტრაციაში და ბანერზე დაწერა სლოგანი. პროკურორისა და გამომძიებელი მოსამართლის წინაშე წარდგენის შემდეგ მან უარყო ეს ჩვენება, მიუთითა რა რომ ის მოპოვებული იყო ზეწოლის შედეგად. გამომძიებელმა მოსამართლემ განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში დატოვა, მაგრამ ამ მომენტიდან მას ადვოკატთან შეხვედრის ნება დართეს. მან სასამართლო განხილვისასაც უარყო თავისი პირველი ჩვენება, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციისათვის მიცემული ჩვენება აუთენტური იყო და იგი დამნაშავედ ცნო წაყენებულ ბრალში. მას ოცდაათი თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმის სასამართლო განხილვა არ დაზიანებულა პოლიციაში დაკავების დროს მხარისთვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის არქონით.

კანონმდებლობა: იმისათვის, რომ 6.1 მუხლის საფუძველზე სამართლიან სასამართლოზე უფლება დარჩეს საკმარისად პრაქტიკული და ეფექტიანი, ადვოკატზე ხელმისაწვდომობა

როგორც წესი უნდა იყო უზრუნველყოფილი პოლიციის მიერ ექვმიტანილის პირველი დაკითხვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელი იყო იმის დემონსტრირება, რომ კონკრეტულ ვითარებაში არსებობდა ამ უფლების შეზღუდვის მაიმულებელი მიზეზი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასეთი მაიმულებელი მიზეზები არსებობდა, შეზღუდვით არ უნდა მომხდარიყო დაცვის უფლების გაუმართლებელი დაზიანება, რასაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი ადვოკატის გარეშე პოლიციაში დაკითხვისას ბრალის აღიარების ჩვენების საფუძველზე მსჯავრდებისას. წინამდებარე საქმეში განმცხადებლისთვის ადვოკატზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება - კერძოდ კი ის, რომ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს განსჯად სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ასეთი ხელმისაწვდომობაზე კანონით მუდმივად უარს ამბობდა - მე-6 მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ განმცხადებლის მიერ პოლიციისთვის მიცემული ჩვენება მთავარ მტკიცებულებად გამოიყენა, რათა მსჯავრი დაედო მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მან შემდეგ უარყო ამ ჩვენების სიზუსტე. ვერც ადვოკატის მიერ მოგვიანებით გაწეულმა დახმარებამ და ვერც თანმდევი სასამართლო განხილვის შეჯიბრებითმა ბუნებამ ვერ გამოასწორა ის ხარვეზები, რაც გამოიკვეთა პოლიციაში დაკავებისას. განმცხადებლის ასაკიც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებდა, ადვოკატის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როდესაც დაკავებული პირი არასრულწლოვანია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულება სადავო გაეხადა სასამართლო განხილვისას და შემდგომ სააპელაციო განხილვისას, პოლიციაში მისი დაკავების დროს ადვოკატის არ არსებობამ გამოუსწორებლად შელახა მისი დაცვის უფლება.

დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

41-ე მუხლი - 2 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ. მითითება, რომ საქმის ხელახალი განხილვა იქნება ანაზღაურების ყველაზე სათანადო ფორმა.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.